

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები
აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებში

ანა ქათამაძე

ქეთევან გოგოლაძე

მარინა საგინაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ქათამაძე

ქეთევან გოგოლაძე

მარინა საგინაძე

22.06.2018

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის მიზნებს წარმოადგენდა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების სექსუალური ქცევის გამოხატვის ფორმების გამოვლენა და მათი მშობლების/ მზრუნველი პირების საჭიროებების გამოვლენა და შეფასება სქესობრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 7-12 წლის ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვის 50-მა მშობელმა და 7-მა დაწესებულებამ, რომლებიც სკოლის გარეთ წარმოადგენენ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისთვის სპეციალიზებულ სასწავლო დაწესებულებებს.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მრავალფეროვანი სექსუალური ქცევები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებში და რიგ შემთხვევები მათი პრობლემურობა როგორც მშობლებისთვის, ასევე სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულებებისთვის, თუმცა პირველ შემთხვევაში საკითხის განხილვის მიმართ მიმდებლობა უფრო დაბალი იყო. მშობლებისა და დაწესებულებების ძირითადი საჭიროებები უკავშირდებოდა სექსუალური ქცევის მართვას, სქესობრივი განათლების მიღების აუცილებლობას და ამ სფეროში გათვითცნობიერებული სპეციალისტების ნაკლებობას. ამ სირთულეების დასაძლევად, კვლევის ფარგლებში შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შემუშავებულ იქნა საგანმანათლებლო მოდული მშობლებისთვის.

საძიებო სიტყვები:

აუტისტური სპექტრის აშლილობა; სექსუალური განვითარება; სექსუალური ქცევა; სექსუალური ძალადობა; სქესობრივი განათლება.

Abstract

The aim of the practical researches conducted in the framework of the developing process of this Master's thesis was to identify the forms of the expressing sexuality behaviors of the children with Autistic Spectrum Disorder and to assess the needs of their parents/care givers in terms of sexual and reproductive health issues. 50 parents of the children from 7-12 grades and 7 non-school specialized educational institutions for children with Autistic Spectrum Disorder had been involved in the survey.

Based on the conducted survey, various sexual behaviors revealed among children with Autistic Spectrum Disorder and in several cases, it was defined as a problematic issue for parents as well as for the specialized educational institutions, although parents were lacking the acceptance to this issue. The needs of the parents and institutions were mainly related to the management of the sexual behavior, the importance of the sexuality education and lack of qualified specialist in the field. With the aim to overcome those challenges, the educational module for the parents has been created

Key words:

Autism Spectrum Disorder; Sexual Development; Sexual Behavior; Sexual abuse; Sexual Education

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ჩვენ ხელმძღვანელს, ნინო გოგიჩაძეს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კვლევითი პროექტების ეთიკურობის დამდგენ კომისიას, კვლევის ჩატარების და ნაშრომის მომზადების პროცესში მოწოდებული მნიშვნელოვანი რჩევებისთვის.

მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე იმ დაწესებულებებს, რომლებიც სკოლის მიღმა წარმოადგენენ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის სპეციალიზებულ სასწავლო დაწესებულებებს, მათი ჩართულობის და დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნათია ანდლულაძეს, სასწავლო კურსის - “პედაგოგიური საქმიანობის კვლევის საფუძვლების” ფარგლებში მიღებული ცოდნისთვის, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაშრომის მომზადებაში.